

# რელიგიურობა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

სალომე ხიზანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2018

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს წარმოადგენს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ხიზანიშვილი

21 ივნისი 2018 წელი

## აბსტრაქტი

რელიგიურობის სხვადასხვა განზომილებასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის კავშირთა შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგები საკმაოდ მრავალფეროვანია. კერძოდ, რიგ კვლევებში ნათლად ჩანს დადებითი კავშირი რელიგიურობის ინსტიტუციონიზებულ ფორმასა (გარეგანი რელიგიურობა) და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეული კვლევები რელიგიურობის პირადი, სულიერი გამოცდილების განზომილებასა (შინაგანი რელიგიურობა) და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის დადებით კორელაციას აჩვენებს. მოცემული ნაშრომის მიზანი იყო, კორელაციური კვლევის გამოყენებით, საქართველოს მართლმადიდებელ შერჩევასთან დამედგინა კავშირი რელიგიურობის სხვადასხვა განზომილებასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის. ჰიპოთეზასთან თანხვედრაში, კვლევამ, რომელშიც 150 ადამიანი მონაწილეობდა, გამოავლინა დადებითი კავშირი რელიგიურობის სულიერი გამოცდილების განზომილებასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას, კერძოდ, ცხოვრებით კმაყოფილებას, შორის. მოცემული შედეგი, საკითხზე არსებულ ზოგიერთ თეორიულ და ემპირიულ ნაშრომთან ერთად, ცხადყოფს, რომ პირადი სულიერი გამოცდილება, რომელიც ინდივიდუალურ სიღრმისეულ რწმენას განსაზღვრავს, განსხვავებით რელიგიურობის უფრო გარეგანი, სოციალური ასპექტებისგან, მეტად ეხმარება ადამინებს ეგზისტენციურ შფოთვისთან გამკლავებასა და ცხოვრებისგან მეტი კმაყოფილების მიღებაში.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** რელიგიურობა, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, ცხოვრებით კმაყოფილება, რელიგიურობის სხვადასხვა განზომილება, შინაგანი რელიგიურობა, გარეგანი რელიგიურობა.

## Abstract

The research findings regarding associations between different dimensions of religiosity and psychological well-being are rather diverse. A number of studies clearly show that the relationship between institutionalized form of religiosity (extrinsic religiosity) and psychological well-being is positive, while, on the other hand, several studies suggest that the dimension of personal, spiritual religious experience (intrinsic religiosity) is a positive correlate of psychological well-being. Using the correlational design, the purpose of the present study was to examine relationships between different dimensions of religiosity and psychological well-being among Georgia's Orthodox Christian sample of 150 respondents. As hypothesized, the study revealed the positive association between the dimension of spiritual religious experience and psychological well-being measured by the life satisfaction scale. The given result, together with some of the theoretical and empirical works about the issue, indicate that private spiritual experience which determines individual in-depth faith, unlike more extrinsic, social aspects of religiosity, helps people deal better with existential anxiety and derive more satisfaction from life.

**Keywords:** religiosity, psychological well-being, life satisfaction, different dimensions of religiosity, intrinsic religiosity, extrinsic religiosity.